




მ.წ.

აკი, პატიოსნების ეზალონი ვართო?!

ერთ დროს საკავშილო ჩინოვნიკთა სასახლებს ებრძოდა,
დღეს ხელისუფლება ყელაგდე კორუფციის ჭაობში დგას!



დავით კიზილაშვილის სახლი

მოძრაობა „არა“-მ პოლიტიკოსთა და თანამდებობის პირთა მშენებარე სახლების ფოტოგამოფენა მოაწყო. ჩინოვნიკთა მშენებარე და აშენებული სახლების ექსპოზიცია კინოს სახლის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა.

„არა“-ს ამტვივისტის ლევან ჩიტაძის განცხადებით, ფოტო-

გადაღებები დილოში, კოვოში და თბილისის ცენტრალურ უბანში 6 თვის განმავლობაში ხდებოდა. მოძრაობის მტკიცებით, შუშის გაშვების განხორციელების მიზნით მშენებარე სახლების მფლობელები უნდა დაეხმარებინათ მშენებარე სახლების მფლობელებს.

ჩაღის სასახლე კოვოში მდებარეობს. კოვოშია აშენებული კმევი გაშვების სახლი. ფოტოების მიხედვით, კმევი გაშვების სახლი აშენებულია 1977-ში მდებარე სახლი, ფოტოგამოფენაზე გიორგი ბარამიძის კოვოშია და თბილისის სახლების განხორციელების სახლი. კმევი გაშვების სახლი იხალტოს პირველ შესასვლელში მდებარეობს. პეტრე ცისკარიშვილის სახლი კი მ.წ. „შანხაის“ დასახლებაშია; „არა“-ს ამტვივისტის ბრძოლაში, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის სახლის გადაღება დაზარალებულთა ხელში გადავიდა. მინისტრის დავით კიზილაშვილის სახლის გადაღებად მოქმედების წევრები თბილისის ზღვაზე იხვედნენ ასევე. ლევან ჩიტაძის განცხადებით,



კმევი გაშვების სახლი



ბით, სხვა თანამდებობის პირების მშენებარე სასახლების ფოტოგამოფენა 2 კვირაში კიდევ გაიმართება.

„ეს ქონება ამ ჩინოვნიკებს უკანონოდ აშთ შიქინილი, კიდევ ბევრი ისეთი, ვინც ქონება 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ დააბრუნა და მათი სასახლების ფოტოებს 2 კვირაში გამოვფენთ“, – განაცხადა ლევან ჩიტაძემ.

„პირველი“



პეტრე ცისკარიშვილის სახლი



ცეზარ ჩოჩილის სახლი

ბათუმის
„გერატონი“
თუ აფხაზეთ-
სამხრეთ ოსეთი?!

ნილო გურჯანაძე:
საქართველოსთან
განსხვავებით
მუხარამი ვაჟაძე
კაცი იყო.
თვითმფრინავის ხაზზე
არ გარბოდა და
ცხვირ-პირით მიწას
არ ხნავდა

რამაზ საყვარელიძე:
ოგამას
გაფრთხილება.
ალბათ.
საქართველოსაც
უეცხეოდა



3

გორკლეისტვის
ქველი დროის
ბელადები
ნარსულ ჩაბარდა,
თუცა ახალი
„ბელადების“
უენიეთ 3

კვირაქალს საბითხავი
მომაკვდავი 6
ბადის სილუეტი

„მხოლოდ სამშობლო
და მხოლოდ ლექსი“

თბილისო, თბილისო... 7

ჯონი ავაშიძე:
ჩვენ და
აფხაზი 4
კმევი
ერთად
ვიცხოვრობთ!

არსულუს (ძვემო ქართლი) არქეოლოგიურ გათხრებზე: ჯონი ავამიძე და პროფესორი დონალდი კიჩირია

თანამედროვე
არქეოლოგიური
გათხრები ტროსში



ზე, მემუარებსა და პერიოდულ პრესაზე...

ეს განსაკუთრებული ეტაპი, თბილისური ქრონიკა, გადმოცემული ვირტუალური, მხატვრული და ტექსტუალური საშუალებებით.

გამოყენებულია ცნობილი ფოტოგრაფების: ალექსანდრე როინიშვილის, დავით გურამიშვილის, დიმიტრი შევარდნაძის, ალექსანდრე ენგელსის, სერგეი



მარგულოვისა და დიმიტრი ერმაკოვის ნამუშევრები...

წიგნის ახლავს DVD დისკი, ინგლისურენოვანი გახმოვანებით და ვიზუალური ილუსტრაციებით.

ტექსტის ავტორია სამეცნიერო წრეებსა და საზოგადოებაში აღიარებული მკვლევარი, მეტალიტეტი „ნამდვილი თბილისელი“, ცნობილი ისტორიკოსი თეიმურაზ ბერიძე. იდეისა და პროექტის ავტორია დოქტორი **ჩიჭივაძე**, რედაქტორი თამარ ნინიკაშვილი, მხატვარ-დიზაინერი **მალხაზ კუხაშვილი**.

* * *

ბრძანებით ფრაგმენტს წიგნიდან „**გეპირი გაზეთები თბილისში**“, რაც გადვირებული ქალაქის, ბენზინის და სასტამბო ხარჯების ფონზე, ჩვენი გაზეთისთვისაც აქტუალური გვეჩვენა.

* * *

„გეპირი გაზეთები“ ძველ თბილისში

ძველ თბილისში „ქვეყნის ამბების“ გასაგებ და გამავრცე-

ლებელ ადგილს, რომელიც „**გეპირი გაზეთის**“ როლს ასრულებდა, **სალაყბო ერქვა**. XIX საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან **სალაყბო ეგზარხოსის მოედნიდან ერევანის მოედანზე გადავიდა**. აქ შეგვძლია მოგვსმინათ **ჭირ-ვარამზე გამოთქმული ლექსები, პამფლეტები, ზემები თუ შაირები**. მერე ერევანის მოედნის **სალაყბო მოიშალა და თბილისელმა ახალი ამბების გამავრცელებელ პუნქტად მალე „თბილისის ტროტუარი“ იქცა**. მოსახლეობას სხვა შესაყრები ადგილებზე **ჭეონდა, სადაც „მოდოლო“ და საიდანაც „იფინებოლა“ ახალი ამბები: თბილისის არისტოკრატის ასეთი თავშესაყარი საფარის მალაზია იყო; ქალაქის ხელოვნების სალამბო „გერუა ნალმანდის“ ღუქანი აერჩიათ; ყოფილი ერევანის მოედნის მახლობლად, ორმელიანთა უბანში, თბილისის წარჩინებულ მანდილოსნებს თავიანთი სალამბო ჰქონდათ**.

თბილისო, თბილისო...

გაიხსენებო, რა გადახდა ჩვენს დედაქალაქს XVII საუკუნიდან დღემდე ანუ ამ დროის ლოკალში მოქცეული ყველაზე მნიშვნელოვანი და სახასიათო ამბები? გაინტერესებო როგორები იყვნენ მაშინდელი თბილისელები, თავიანთი ცხოვრების წესით, ნაღებებით, ზაზრობებით, სალონებით, უღამაზესი ქვაფენილებით და აშუღებით?

ამ წიგნის გამოსვლამდე „საქართველოს ქალაქების“ სერიის პირველ წიგნში (გამომცემლობა „**ლილა**“, „საყმაწვილო ენციკლოპედია“) აისახა თბილისის ცხოვრების გზა დარსებობიდან XVII საუკუნის ბოლომდე.

ამგვარი „მოგზაურობები“, როგორც გამოცემის მესვეური აღნიშნავენ, დაყრდნობილია საარქივო დოკუმენტებზე, უცხოელ მგზავრთა ჩანაწერებ-



მას შემდეგ 50 წელია გასული, რაც ნოდარ პალატიანი და ბეჭდა „ყვავილების მიწა“. ამ ლექსმა მაშინვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა (შემდეგ შოთა ნიშნიანიძემ დაწერა ამავე თემაზე ასევე შესანიშნავი ლექსი).

პოეტი მას კითხულობდა შეხვედრებზე, მიტინგებზე, ლიტერატურულ საღამოებზე და ყოველთვის სდევდა ტაში და აღფრთოვანება, განსაკუთრებულ ეფექტს იწვევდა ბოლო აკორდი – „ნუ ჰყიდი მიწას, ნუ ჰყიდი მიწას“.

ქართული მიწის პრობლემა, სამშობლოს სევდა და სიხარული, წარმატება და დამბობა იყო და არის ნოდარ ჯალაღონის პოეზიის მთავარი ძარღვი, შთაგონება, საყრდენი.

იმპიათია პოეტი, რომელსაც ესოდენ მრავალკუთხე ვარაიაციით წარმოედგინოს პატრიოტიკა, რაც გულისხმობს არა ხობებს, არამედ დაკვირვებას, აქცენტების გადანაწილებას, ფიქრსა და განსჯას, აზრის დრამატულ განვითარებას.

დღე და გამარჯვებულ ქვეყანას არ სჭირდება პოეტი-ჯარისკაცი, პოეტი-მემკვიდრე. მაგრამ სხვა არის იმ ქვეყნის ბედი და მდგომარეობა, რომელიც იბრძვის თავისი მიწის გამოსახსნელად და დასაუფლებლად, თავისი ადგილის დასამკვიდრებლად.

ჩვენ გამოვიარეთ ის დრო, რომელიც ზღუდავდა სიტყვის თავისუფლებას, რომელიც კრძალავდა სამშობლოს თავისუფლებისათვის არა თუ მოქმედებას, არამედ ოცნებასაც კი.

ნოდარ ჯალაღონისას დასჯინდა საკუთარი ეროვნული და მწერლური მრწამსის დაცვა, ლაიონებმა, წარმავალ ფენებში აზრისა და სიტყვის გამოტარება.

იგი ყოველთვის იყო აზრის პო-

ეტი, რომელიც ამოდის კონკრეტული ფაქტიდან, ფაქტის განსჯიდან, მისი მოულოდნელი რაკურსით ჩვენებიდან.

ეს კი ლექსს ანიჭებს მტკიცე კომპოზიციას, სიუჟეტურ დინამიკას. ხოლო სტროფიდან სტროფში ძლიერდება გრადაცია და მკითხველი ბოლო სტროფონებს ღებულობს როგორც ნოველისტურ ფინალს, რაც არის ემოციური კულმინაცია და აზრობრივი დასკვნა.

ასეთი აგებულების ლექსში სტროფებს ვერ გადაადგილებ, ვერც სტროფონებს შეცვლი. შესაბამისად ნაკლებად ვლინდება მუსიკალური განწყობილება ან მეტაფორული ასოციაციები.

იგი ფიქრობს და არ თამაშობს. ჩვეულებრივ, ლირიკოსები ადრე იწყებენ და ადრევე ამთავრებენ კარიერას. მათ უჭირთ წლების მანძილზე ფორმის შენარჩუნება. ამ თვალსაზრისით სანიშნავია ნოდარ ჯალაღონი, რომელიც უკვე ოთხმოცს მიუახლოვდა. მაგრამ ისევ რჩება მაძიებელი სულის პოეტად. მართალია, ახალი თემები ან ფორმები არ შემოუტანია, მაგრამ ძველ და ნაცნობ თემებს ახალ დროსთან მიმართებით ისევ გულდასმითა და მგზნებარებით ამუშავებს.

აღბათ აქ კვლავ აზრის პრიმატი უნდა ვახსენოთ. სწორედ აზრის ფორმირება და სამშობლოს ბედი აძლევს პოეტს დაუძლეველ სტიმულს. ზოგჯერ ეჭვიც გაჰყარავს, მაგრამ ეს ყველა შემოქმედის თვი-



სება, რომელიც არ აპირებს მიღწეულით ტკობას, რომელსაც სწამს, რომ კიდევ დარჩა სათქმელი.

პატრიოტიკა პათეტიკისაგან განუყრელია. იგი გმირულ სულისკვეთებას მოიცავს, თავდადებასა და თავგანწირვას, რაც შესაბამისი ინტონაციებით ხმინდება და სრულად აღიქმება გეპირი აუღერებით და არა თვალთ ჩაკითხვით.

ამ მხრივ ნოდარ ჯალაღონისას ლექსი მუხრან მაჭავარიანის პოეზიას ენათესავება.

წლების მანძილზე ნოდარ ჯალაღონი წერდა სატრფიალო ლექსებს, რომელთაგან ზოგი სიმღერად იქცა (მაგ., „დღეს სიცოცხლე შენი“), წერდა აქტუალურ თემებზე, გადმოჰქონდა ძველი კოლხური ჰანგები, ცრემლით ივონებდა საზღვარს მიღმა დარჩენილ მოძმეებს, სპორტიც ეროვნული ენერგიის გამოვლენად მიაჩნდა.

მაგრამ მის ლირიკას ახალი სუნთქვა გაეხსნა ცხრა აპრილის შემდეგ.

ცხრა აპრილის ტრაგედიამ შეცვალა ხალხის ცნობიერება. შეიცვალნენ მწერლებიც. ზოგი – სასიკეთოდ, ზოგი სულაც დადუმდა ან გადაგვარდა.

ნოდარ ჯალაღონი გახდა ახალი მოძრაობის პოეტი-ტრიბუნი. იგი ხარობდა სულიერი განახლებით, ქვეყნის თავისუფლებით და ეს აისახა მის მოქალაქეობრივ ლირიკაში, ისევე როგორც დევებზე-იანვრის ტრაგედიამ, რომელმაც მკვეთრი ზღვარი გაავლო პატრიოტიკასა და მედროვეებს შორის.

ამგვარი განწყობისა და დაპირისპირების პრაგმატული შედეგი ასეთია: „გაყიდულია სამშობლო, ნაყიდი არის ვილები“.

ნოდარ ჯალაღონი დამარცხებულია მხარეს დადგა, რადგან ისინი სიმართლისა და ქვეყნის სიყვარულისათვის დაისაჯნენ.

პოეტი ვერ გადაურჩა შეურაცხყოფას, დამცირებას, დაპატიმრებას. იგი მაინც სიმართლის მესაყვირედ დარჩა. კვლავაც წერდა მამხილებელ ლექსებს, გამოდიოდა მიტინგებსა და შეკრებებზე, დადიოდა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, რათა ხალხისათვის ხმა მიეწვდინა, დაზნეული – გამოეფხიზლებინა, გულგატეხილი – გაემხნევეზინა.

იგი როგორც პუბლიცისტი და პოლემისტიც იყო ჩანული ამ დაპირისპირებაში; სცემდა გაზეთს,

შველოდა ეროვნული მოძრაობის დევნილ წევრებს.

მან თავის მოქმედებაში გააერთიანა პოეტი და მოქალაქე, პოეტი და დეკლამატორი, პოეტი და პუბლიცისტი (არ იქნება ზედმეტი ვთქვა, რომ ჩვენ ერთად ვიყავით გროზნოში ზეიად გამსახურდიას დაკრძალვაზე).

დღეს არაფერს ფასი არა აქვს, არც ინტელექტს, არც ლექსსა და ნოველას და პოეტის ასეთი თავდადება ლამის შეუმჩნეველი დარჩეს.

მოდიან ახალი თაობის პოეტები, რომლებიც ზედაპირზე ტიტიკვენ. ბევრ მათგანს არც ამოდრავებს ქვეყნის საწუხარი, არ ათროლოებს მშობლიური სიტყვა, როგორც შედისწერა.

არც ის იცინა – რა მოხდა გუშინ, როგორ მოვედით აქამდე.

ისინი თამაშობენ, ერთობიან, ბილწისიტყვაობენ, პორნოგრაფია და პათოლოგია ურჩევნიათ პატრიოტიკასა და ქართულ ტრადიციებს.

ამიტომ დასცდება ზოგჯერ სოფლის სამღერავი ამ მხნე, გაუტეხელ, იმედიან პოეტსაც:

„დამიმართვებს ფიქრებმა და მწარე აზრი არ მტოვებს, ცოცხალს არა მყავს“

პატრონი, აბა, მკვდარს ვინ მიპატრონებს“.

ცხადია, ვერ გავიზიარებ ამგვარ სკეპსისს და მჯერა, რომ ნოდარ ჯალაღონის მართალ, მღელვარე, მოთქმული ლირიკას შეინახვენ და შთამომავლობას გადასცემენ პატრიოტი ახალგაზრდები, ლექსისა და სამშობლოს ჯარისკაცები.

ასეთი ჯარისკაცები საქართველოს არ დაეღუფა.

სოსო სიგუა

მცხეთა. მიხეილ მამულაშვილის ბაღი. დღეს უფრო სწორი იქნება, ასე გვეთქვას: ეზო, სადაც „მცხეთელი მინდია“ ასვენია.

ოდესღაც მიხეილ მამულაშვილს უთქვამს (ის სრულიად უბრალოდ გა- მოთქვამდა ფილოსოფიურ სენტენციებს): სიკვდილზე მეტად სიცოცხლე უყვარსო ყვავილები.

თებერვლის ქარიან დღეს აქ შესაბამისად სვედიანი განწყობილება დაგვეუფლა, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებდა გაპარტახებული ბაღი დაღეწილი სათ- ბურებით და სამოსახლოთი...

ამჟამად ეს ოდესღაც ლეგენდარული ბაღიც და სახლიც შვილთაშვი- ლის და სეზნიის მიხეილ მამულაშვილის პირადი საკუთრებაა, რომე- ლიც თავად თბილისში ცხოვრობს. ამავე მიზეზით, ვერც ბაღში არსე- ბულ ე. წ. მუზეუმში შევალწით.

ჩვენი წარმოდგენით, ამ ოთახებში (თუ ოთახში) შენახული (არავინ იცის, რა პირობებში დაცული) ექსპონატები, თუნდაც, ფოტოების სახით, მამუ- ლაშვილის ბაღის გარდასულ დიდებაზე მოგვითხრობს.

როგორც ვნახეთ, ახლა იქაურობას ერთადერთი ადამიანი — მესაკუთ- რის ძმა, პენსიონერი ვანო მამულაშვილი, შეიძლება ითქვას, პატრონობს ჩვენი მოსვლისას იგი ბილიკებს ასუფთავებდა, ნაგავს და ნეშომპალას თავს უყრიდა და დასაწყევად ამზადებდა.



სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის აშენებიდან 1000 წლის იუბილზე „მა- მულაშვილის ბაღიც“ გაიხსენეს და დი- დი მებლის, ბატონი მიხეილის შვილ- ნებანიც, რომ მცენიერებს ადამიანე- ბივით სჭირდებოდათ სიყვარული, მოვ- ლა, სიბოძო...

„მიხეილ მამულაშვილმა ბაღ-მუზე- უში სვეტიცხოვლის სიახლოვეში და- აფუძნა, რათა მადლი უფლისა ყვავი- ლებზე გადმოსულიყო, ყველა ჩამო- სულ უცხოელს თუ ადგილობრივ მკვიდრთ შეეგრძნოთ ძალა სილამა- ზის, სულიერი და ესთეტიკური მშვე- ნიერების, ბატონი მიხეილის ყოველი დღე, წუთი, წამი ბუნების ილუმინაციას- თან იყო ნაზიარებული... მუდმივად მზრუნ- ველი ცდილობდა, მოესწრო საქმის ვე- თება, თითქოს სადაც მიეჩქარებო- და... თავის ნაკრძალში დაცული ყო- ველი ქვა, მცენარე, თავისებურად და- ემშვენებინა... ეს იყო გზა მშვენიერე- ბის შეცნობისა, სიყვარულისა, უნგა- რობისა...“ (ჭაბუკა მეტონიძე).

„მცხეთელი მინდია“ 100 წლის ასაკში გარდაიცვალა. მრავალი წელი გავი- და მას მერე... მთავრობები გამოიც- ვალნენ, ოფიციალური პირებისგან და- პირებები უმრავი გაიშა, რომელიც მა- შინვე დაივიწყეს... არადა, ეს სრულიად უნიკალური ბაღი, რომელსაც მსოფ- ლოში არ ჰყავდა ბაღალი, ვფიქრობთ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა და ალბათ ნებისმიერი ხელისუფლე- ბის პრესტიჟის საგანი უნდა იყოს მი- სი გადარჩენა-აღდგენა.

* * *

პრაქტიკოსიდან: მცენიერული კე- თილსინდისიერებით და გენეტიკური ერთგულებით შედგენილი წიგნი „გვარი ელიოზისძეთა — გედეონისძეთა“, რომ- ლის ავტორი ქალბატონი მანანა გე- დევიანიშვილი გახლავთ, უაღრესად სა- ყურადღებო ცნობათა შორის მიხეილ მამულაშვილის მეცენატზე — დავით ცი- ციშვილზეც მოგვითხრობს (ყველასთვის

მამაკვდავი ბაღის სილუეტო



ცნობილი მსახიობის, უმშვენიერესი თა- მარ ციციშვილის უშუალო წინაპარზე). „მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის სა- ციციანოში ციციშვილების 16 ოჯახი ცხოვრობდა. მიწებისა და ტყეების გარდა, ციციშვილებს ეკუთვნოდათ სა- სარგებლო მადნეულის საბადო. ამი- ტომ ეს გვარი საქართველოში ძლიერ გვარად ითვლებოდა. გვარის წი- ნამძღოლი დავით ციციშვილი გახლდათ... დავითი ცნობილია, რო- გორც სოფლის მეურნეობის და მე- ბაღეობის შესანიშნავი მცოდნე. გან- თქმული იყო მისი ბაღი სოფელ ხვე- ღურეთში, სადაც მართო ვარდის 400 სხვადასხვა ჯიშის ხარობდა. დავით ცი- ციშვილს განსაკუთრებულ პატივს სცემ- და გლეხკაცობა... სწორედ გლეხებმა

გადაარჩინეს დავითის ოჯახი რევო- ლუციის დროს, როდესაც „წითლებმა“ გორში ციციშვილები ამოხოცეს. და- ვითის ოჯახი იმ დამით ხვედურეთელ- მა გლეხებმა გააღვიძეს და ურებით თბილისში გამოაპარეს. დავით ცი- ციშვილთან იზრდებოდა პატარა მიხეილ მამულაშვილი, რომელიც ეხმარებოდა მას ბაღის მოვლაში. მიხეილმა განსაკუთრებული ნიჭი და მონდომება გამოიჩინა ამ საქმეში. და- ვით ციციშვილმა მიხეილი ვერმანიაში გააგზავნა მეზღვრობის შესასწავლად. როდესაც მიხეილი საქართველოში დაბრუნდა, დავითმა თავისი სახსრე- მით მას თბილისში ყვავილების მა- ლაზია უყიდა. ეს მალაზია შემდეგში თბილისში „სოლელორის“ სახელ-

წოდებით გახდა ცნობილი, მიხეილ მამულაშვილმა კი მცხეთაში სვე- ტიცხოველთან ლეგენდარული ბაღი გააშენა“...

მიხეილ მამულაშვილი არასდროს იფიქვებდა თავის მეცენატს, რასაც გე- დევიანიშვილ-ციციშვილთა საოჯახო არ- ქივაც მოწმობს. დიდი მებლის მოწე- რილ ბარათთა შორის, ერთ-ერთში, იგი ღიმიტრი გედევიანიშვილს (თამარ ციციშვილის მეუღლეს) მოკრძალებით განუმარტავს, რომ თქვენი წინაპრების საფლავთა მოვლა, ჩემი მოვალეობაც არისო...

* * *

თითქმის სულშიც ატანს თებერვლის სუსხი. აღარც ბაღი, აღარც მეცენატები, აღარც მოვალეობანი... უცნაურ დრო- ებაში ვცხოვრობთ — ნოსტალგიით დალ- დასმულში... ყველგან და ყველაფერში ნოსტალგიაა. აქაც, მცხეთაშიც, ნოს- ტალგია — დიდი მებლის სამუდამოდ დაკარგულ სიბოძოზე...

„ადამიანებსაც სჭირდებოდათ თავიანთი მებაღეები“ — წერდა სენტ-ევზიუპერი...

ჩვენ წინ მოგონებათა სასაფლაოდ ქცეული ბაღია, სადაც თავად მებაღეა დაკრძალული... ისევ სვედიანად ვაც- ნობიერებთ, რომ ადამიანებსაც, მცე- ნარეებსაც, ყვავილებსაც სჭირდებათ მე- ბაღეები, მაგრამ ისინი აღარ არიან...

მცხეთა, სვეტიცხოველთან ახლოს მიხეილ მამულაშვილის გაპარტახებული ბაღი. თებერვლის სუსხი...

2011 წელი, 16 თებერვალი

სურათიზაზა: ლეგენდარული ბაღის დღევანდელი სილუეტები; მიხეილ მამუ- ლაშვილის საფლავი; ვანო მამულაშვი- ლი დიდი პაპის ეზოში.



8

⊗ ალექსანდრეს გაღის სურათები

გია ბლანჟე გაიპარსა

ჩვენ „პარლამენტის“ სსლომა გვაქვს, არ-
ლიტიკაზე საუბარი, დაჰა-დაჰა, რა თქმა
უნდა, გონდო რაჰქველი აქტიურებს. შე-
მოვიდა გაღვი ჩვენი გია (იგივე ყარაგანი,
ტანვარქიშა გაღაყლილი „პარლამენტი-
რი“, მორჩა ვარჯიშს და ჩვენთან გამოეპარ-
თა. „ვა, ეს ნახეთ, ტო!.. საღ არის გიჟო,
გლანჟე, რა უყავი გიჟო, გლანჟე!“ – შევ-
აგაზ მოხსოვდა. ვხედავთ გლანჟე გა-
უპარსავს შაბათ-კვირას ჩვენს „პარლამენ-
ტის“, „გიჟო, ასე არ ვფიქრობ“. უფრო ლა-
გაზად და ახალგაზრდად გამოიყურა-
ვი? – ეუბნება გონდო რაჰქველი.

„ვითო?“
„აბა, კაცო, აბა!“ – ვამოგოთ ერთხმად.
„რახან შენ გლანჟეს შეიღი, მე ვკისრუ-
ლოვ, ძმებო, ამ დილის „გაჰუსკას“, – „ხიტ-
როვს“ ჩვენანია.
„რა გქირს, კაცო, შენი საკისრებაელი...
რახან მოგაწონათ, მოღიო, დამილოცეთ,
გასუფთავებული ჰქირსახე... არსად ნახვი-
დეთ, ახლავე მოვალ“, – აგოგს გია და იქვე
გარკვეტი შეიღი.
საღ წავიღოღიო, გავის ჩიტავი ვიყავით?..

ძალდი მაინც ძალდია...

ამ უპატრონო ძალდა ისა შეგვაყვარა თა-
ვი, რომ ერთ დღეს, მე პირადად, სსელი-
დან წამოვუღე პურის ნაბიხი. უპატრონო

ძალდავის მეტი რა გინახავს ამ
გაღვი, გავრამთავინ, თითქმის-
და საოცარი ადამიანური გა-
მოგატყველებით ავან ნაღდად
მოიგო ჩვენი გული. ყველასთან
მიღის, ეთავაშება, ელაჟცება,
ეაღიერება (ცოტა ავარიისტი
უნდა იყოს, გავრამ ამ დილით,
ჩვენმა „პარლამენტმა“ ერთხმად
აუქრალა ძალდა ჩვენს
სიხსლოვან ყოფნა... რა მოხდა
ასეთიო, იმითხავეთ. მიღის სსლო-
მა, რა თქმა უნდა, კამათი, იქვე,
„პარლამენტის“ სიხსლოვან
„ვითის ფრინველი“ – გტრადე-
ბი დავგოგანოვან, რაღაც-რაღა-
ცებს კენკავენ, ლუღუნებან... ის-
კუპა უცებ ამ ჩვენმა ნაბიხამ ძა-
ლდა, დაახტა ერთ მშვიდობის გა-
უფხვად ფრინველ – წითელ ფხვება
მტრად და წამოიწაღა უნდა ადინა.

შედავთ, თავნაცლილი გღია ეს უწყინა-
რი ფრინველი ჩვენს ზირახლოს, ჩვენი ნა-
ქავი ძალდი კი უკვე შორს, გაღის მეორე
გზარეს ჩაცუქტულა და იმდენ გვითვალ-
თვალავს, თითქმის, ჩვენს რეაგირებას
ამოწმებს მოხდარი ფაქტის გამო.

„პარლამენტის“ რეაგირება კი ასეთია: „ამ
არ გაგვაპაროს, ჩვენს სიხსლოვანს არ გაგო-
ნდეს, თვარა ცემით მოვლავთ გავ უფიქროს!“
დგება ჩვენანია, იღებს უსულუ ფრინველს,
ქირს დაცვენილ გუშაულსაც კრავს სათი-
თაოდ, მიღის გაღის კიდეზე, რკინის ნაჭე-
რით ჩიჩქნის მიწას, ზოგ მტრად გარჩავს,
პირფარს იწერს და ჩვენთან გრუნდება.
არც გვიკვირს, ჩვენანია მორწმუნე კაცი.

ოთარი ხეღვასს
ელოდება

ახალი კაცი მიღის გაღის დავგვლად გა-
ჯიოვს ოთარი, ხან ერთ კუთხეში, ხან გო-
რეთი. აგროვებს ნაბიხს, ზრინავა მჩრის და

⊗ სამეგრელოს მხარე

გგლეგი ზუგდიდის სოფლებშიც გამოჩნდნენ!


სამეგრელოს რეგიონში გგლეგის თავგანაფარი ურთის მთაზე. იმდენ ჩამოღიან და
ესეიან სოფლებს. მოსახლეობა შეიკრუნებული და შეიკრუნებულია, სსტარფოდ ითხოვენ
დახმარებას. ზუგდიდის მონადირეთა და მეთევზეთა კლუბის თავმჯდომარის გურამ
თირაქიას განმარტებით, გგლეგის განადგურება მთელ რიგ სირთულეებს და სიძნე-
ლეს უკავშირდება. ამ ეტაპზე მათ, ჯეგჯეგოვით, გგლეგის მოვლა ეპრობებათ.
„ჩვენ ხელშეკრულება გვქონდა გაფორმებული ზუგდიდისა და სოფლის მუნიციპალი-
ტეტის განმარტებით, რომლის თანახმადაც ზუგდიდში უნდა მოგვეკლა 7 გგლეგი, ხოლო
სოფლი – 5, მეტის უფლებას არ გვაქვს, თუმცა, რაც დავალბებოდა გგლეგს, ისიც
ვერ შევქვით. ზუგდიდში გგლეგს ერთი, ხოლო სოფლი ორი გგლეგი მოვკალით, რის
გამოც გვისაჩვენებდას კიდეც“, – დაიჩივლა გურამ თირაქია.

გველ ხელშეკრულებას ვადა დაუმთავრ-
და, ახალი ჯერ გაფორმებული არ არის, გაგ-
რამ არის შეიკრუნები, რომ მათ დახმარებას
აღმოუჩინან, წინააღმდეგ შეიკრუნებოდათ ა-
ლიან გაუჭირდებოდათ გგლეგთან გრძელ-
„ზუგდიდის განმარტება დახმარებას გვიწევს,
გავრამ ეს საკმარისი არ არის, რადგან გგ-
ლეგი ძალიან ფრთხილი ცხოველია და მის მო-
ვლას მთელი რიგი სირთულეები ახლავს. გგ-
ლეგი აღადგინის სუნს 300-400 მეტრის მოშო-
რებით გრძელავს. ყოველდღე მთა არა, ყოველ
მისამდე დღეს გინც უნდა გავხვიდეთ გგლეგის
მოსახლავად. თანაც, დავალბებული გვაქვს
გგლეგის განმარტებით მოვლათ, რადგან სხვა
ცხოველები არ დაზარალდნენ. ასე გგლეგის

დილოვით ნაგვის განდგნობთან მიმდის
სოფლი. შრომებს, დიდა არაფერს უნდო-
ან, გავრამ ესაც რომ დაჰარბოს, რა ეშვე-
ლებს? იმ დღეს გვითხრა, ტრანსპორტის
ფული რომ არ მოგნდა, ფენიტი მოგვადი გარ-
კეთილიდანო. შეიცვალა ცხოვრება, იმას,
რასაც კრუნისტების დროს სხვები აკეთებ-
დნენ (ერვნებას არ დავასახელებ, დღეს
იმ სამუშაოზე ძირითადების რიგი დგას.
მოკლედ, ოთხი დამიგნავდა, თანაც კი
გულის კაცი. ერთ-ორჯერ, „გამოცვადეთ“
– „პარლამენტის“ სსლომის დროს – გურ-
გისას დავუახებთ, ჭიმა მივანოვდეთ, დავგ-
ლოცავ, გადავარა ჭაჭის არაყი, გვრამსაღდაც
„გაგვა“ და უცებ ჩამოვდა „კოლიტრას“, გუ-
საყვიდრეთ, გავრამ შორს დაიჭირა, წასია,
ძმებო, ეგაო... მოკლედ, „ჩვენი კაცი“ გახდა.
გავრამ ძალიან გვარდგას თავს, ჯერ ერ-
თი, უფროსობა ჰყავს ისეთი, უმაღლესად
გან, ხელში რომ ჭიმა დაუნახონ და თანაც,
ვერ შემოღის ნიღო და სინდისი ქანჯრის,
ხელფასის მოლოდინში და მთაშიღდა, გერა
უკვე გგლეგაშვილი დავგვიგება გვერდით
ეს ალალ-გარტალი მთიელი.

ზამთრის ყვავილები

ამ ორი თვის წინათ გაღის მისეულებმა
საქცილური საზარგო განდგნობა გად-
მოვიღეს ყვითები, რომლებშიც ვანაწუნა
ქოთნები ეწყო, ქოთნებში კი, აი, გარდ-
ვა, ყვითელია რომ გინახავთ, ისეთი ფოთ-
ლები იყო გარგული. გავგიკვირდა „გარ-



ლამენტარეს“, ვკითხეთ გაღის დავგვლ-
დამლაგებლებს, რა ხდება? „ეს, ძმებო,
ჟოლანდრიდან ჩამოტანილი ჯამირის ყვა-
ვილებია, ამ ფოთლებს რომ უყურებთ,
ერთ-ორ კვირავი სულ ყვავილებით და-
იყვარება“, – გვისხნის გაღის ერთ-ერთი
ავან-ჩავენი დავით ქუტიძე.

შეისივნენ გუშავი გაღის მიდამოზე წი-
ნასწორ გავგვირავა ულ მიწას და ორ დღე-
ში სულ გგვანდა გაღაფარეს იქაურობა.

გვიკვირს, რა ამოიყვანს ყვავილს ამ შუა
ჯამირავი, ყინვაში, გავრამ, მოვტყუვდით,
ერთ დილასაც, გაღვი რომ გვვიკრიბათ,
ჩვენანია გვანდგება, ნახე, წიდე, რომ გოგა-
დავენტილა მთელად ახაურობა, იმეთ, იმეთ
შხედდეთ – გვითხლია, ეგერ – გელნისფე-
რი!... ვა, ხედავთ?!

„რაღ უნდა, გიჟო, გერა გავას ჟოლანდია,
საქართველოში ყვავილის მოყვანა გაჭირდა?
გარა, ფული ასე უფრო“, ტყდება, შეარჩოვ...
გაიღეს! – რა თქმა უნდა, ახელის უფლებას
გაქმნებული არაფერი მოსწონს შოთას.
იმდებ, გარტალიცა! ვინ იცის!

ვილენ გარდალეთიშვილი

⊗ წიგნი

გამომცემლობა „აკადემიამ“ დასტავა
ლერი ჩაჩიბაიას წიგნი „სიხსლოვანების დანერ-
გვა წარმოების სრულყოფისა და ეფექტი-
ანობის ასახმალელებად“.

ბატონი ლერი ჩაჩიბაია შპს „ტექნიკის,
ტექნოლოგიის, ეკონომიკის მართვის
პრობლემების დანერგვის სამეცნიერო
ცენტრის“ დირექტორია და
თავდაუზოგავად იღვწის
ახალი ტექნოლოგიების და-
ნერგვით წარმოების დონის
ასახმალელებად, ეკოლოგი-
რად სუფთა, კონსერვტიუნა-
რიანი პროდუქციის მისაღე-
ბად, და იმისთვის, რომ საამი-
სოდ მინიმალური შრომითი
და მატერიალური დანახარ-
ჯები იქნას გამოყენებული.

ბატონი ლერი 18 გამოგო-
ნების, 7 ტექნოლოგიის, 50 სა-
მეცნიერო ნაშრომის
ავტორია. 1993 წელს
მან დააარსა შპს
„ტექნიკის, ტექნო-
ლოგიის, ეკონომიკის
მართვის პრობლემე-
ბის დანერგვის სა-
მეცნიერო ცენტრი“. პარალელურად არის
გამომცემლობა „აკა-
დემიის“ მთავარი რე-
დაქტორი.

– ნაშრომი „სიხს-
ლოვანის დანერგვა
წარმოების სრულ-
ყოფისა და ეფექტი-
ანობის ასახმალე-
ლებად“ გრავალ სა-
კითხს მოიცავს, –
გვითხრა მან, – თერ-
აპული გაღამება-
ვის გარეშე საკვები და სამკურნალო ექ-
სტრაქტების ეფექტიანად გამოყენებას
რთული დავადების სამკურნალოდ გვე-
ნარეგვის ექსტრაქტები გამოიყენება სამ-
კურნალოდ და საკვებად, ალკოჰოლი-
ნი და უალკოჰოლო სასმელების წარმო-
ებაში. ასევე, გამოიყენება საკვები გვე-
ნარეგვიდან მიღებული ექსტრაქტები
მეცხოველოებაში.

მუშავდება ნაღლი ჩაჩი მასიდან ნაყ-
ნის მიღება, ცხელი წყლის გარეშე – სხვა-
დასხვა დავადებების სამკურნალოდ და
კვების პროდუქტებად.

მცენარის ექსტრაქტში მიკროელემენ-
ტების შეტანით შეიკრუნა დავადება
კანისა და ფრჩხილების სოკოვანი დაავა-
დების გეურნალოვანი ეფექტიანობა.
ახალი ტექნოლოგიით მიღებულ ექსტ-
რაქტებში, არსებულთან შედარებით, 2-
3-ჯერ მაღალია ვიტამინების, ცილების,
მიკროელემენტების შემადგენლობა...
ჯამოთ სხენებული ექსტრაქტები ოთახის
პირებაში ინახება 14-16 თვე – გამოი-
ყენება სისხივნოზური დაავადებების,
სისხლძარღვით და ნერვული, საჭმლის
მოშეღებალი სისტემის, ჩიყვის, ჰეპატი-
ტის, ფსირიზის, კანის ინფექციური და-
ავადებების და სხვათა სამკურნალოდ,
რომლის დანერგვას რეკომენდაცია მის-
ცეს. ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრმა
(5.01.93 წლის №523ა, სამედიცინო ინსტი-
ტუტმა (01.02.93 წლის №02-01. 28/44 და
ფარმაკოპიების ინსტიტუტმა (4.01.93
წლის 01/25ა წერილებით, ასევე – სამეც-
ნიერო კვლევითმა ინსტიტუტებმა, მეც-
ნიერებათა აკადემიამ, სამინისტროებმა,
პარლამენტის დარგობრივმა კომიტეტებ-
მა, სამთავროვო სტრუქტურებმა. გამოქ-
ვეყნებულია შრომები, მონოგრაფია, თე-
ზისები, სტატიები უცხო ენაზე (დაცუ-
ლია საავტორო მოწმობით).

სანოკლოგი წლების განმავლობაში სა-
მეცნიერო კვლევითმა და ლაბორატორი-
ული კვლევებით მიღებულმა შედეგებმა
საქცილურებას, მეცნიერებას რეკომენდა-
ცია აზრი, რომ ახალი ტექნოლოგიით მი-
ღებული საკვები და სამკურნალო ექსტ-
რაქტები შეისიქტება ალმოქენის
მოთხოვნებს. ამიტომ ამ მიმართულებით
უნდა წარიმართოს მუშაობა.

ტრასეკას პროექტში აგრეშევის გვის
რეკომენდაცია გამოყენების მიზნით,
მოქრასნარეშულიან ნახევრად მისახმელი
ფურავის და ვაგონკონტინერის დანერ-
გვას ყველა სხის პირუტყვის გაღასაყ-

ვანად რეკომენდაცია მისცა ეკონომიკის
სამინისტრომ.

ნაშრომში დამუშავებულია: პურის
ცხოვის ტექნოლოგია, საღაც სასმართუ-
ლად ხდება პურის ცხოვა, ისა რომ, ნახე-
ვი გავი არ ხვდება ცხოვის ზონას. საწვა-
ვად გამოიყენება ყველა სხის ენერგორე-
სურსი, ამავე დროს ვღებულობთ ცხელ
წყალს;

სამკურნალო და საკვები მცენარეების
გამოსაშრომი მოწყობილო-
ბა, რომელიც ადგილზე გაღა-
ამუშავებს ჩაჩი ნაღლილს.

დადგომითა შეფასდა, გიგ-
ლოთების დავადებარებისას,
საცავიდან გკითხვალად
კრეკლესური მემანიაკით
წიგნის მიწოდება, საღაც
გათვალისწინებულია საცავ-
ში შესაბამისი მიკროკლიმა-
ტის დაცვა, უსაფრთხოების
მოთხოვნები და სხვა სა-
კითხები.

ტრავმირების ინ-
ტენსიური გეურნა-
ლოგისთვის დამუ-
შავდა მთლიანი მო-
სახლადი, რომელიც
ავიქსირებს ცალკე-
ულ ორგანოებს და,
შესაბამისად, ხდება
ყველა სხის გეურნა-
ლოგის რატარება.

ნაშრომში, ასევე,
დამუშავებულია
სოფლის მეურნეო-
ბის პროდუქტების
შენახვა-გადამუშა-
ვების საკითხები. სა-
ბარეშო ზონაში
მსხვილი კრეკლეს-
ბის დავადებარებისა
და ინფრასტრუქტუ-
რის საკითხები.

სამეცნიერო ნაშრომის განმარტებისას
აგრარული, თბილისის ივ. ჯავახიშვილის
სახელობის, სამედიცინო ინსტიტუტის,
ასევე, სანდარისა და ჰიგიენის და აგ-
რარული ინსტიტუტის მეცნიერებმა ად-
ნინშეს, რომ საჭიროა ახალი ტექნოლო-
გიით გრეგვის გარეშე ჩაჩი გუნებრივი
შრომით პროდუქციის გამოშვება
მოხდეს სტანდარტის მოთხოვნით – შე-
საბამისი სერტიფიკატით. საჭიროა დარ-
ქადეს თვითშეგომეღვითი ინტელექ-
ტუალური კანონმდებლის მიღება, რომ
მედიც დადგინდეს განიხილეს სამინის-
ტრობა და მთავრობებმა.

2011 წლის 20 იანვარს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილემ ლევან
გუგუშაძემ წერილით მიგარტა ეკონომი-
კისა და მდგრადი განვითარების, იუსტი-
ციის, განათლებისა და მეცნიერების მი-
ნისტრებს, რომ, აქტუალურიდან გამოშ-
დინად, ბატონი ლერი ჩაჩიბაიას სიხსლო-
ვები უნდა დაინერგოს წარმოებაში ავტო-
რის უშუალო მონაწილეობით, სთენადო
ხელშეკრულების საფუძველზე.

წერილში, ასევე, აღნიშნულია, რომ სა-
ჭიროა სამართლდამცავმა ორგანოებმა
განატარონ მემდითი ღონისძიებები, სა-
კუთრებისა და შემომქმედებით უფლება-
ბის დარგობრივ შედეგად მიგნება სიხსლო-
ვების ანაზღაურებაზე, ახალი ტექნო-
ლოგიით გრეგვის გარეშე ჩაჩი გუნებრივი
შრომით გამოშვებული პროდუქციიდან
საავტორო ჟონორების ანაზღაურებაზე,
სამუშაო და საცხოვრებალი ფართის
დაგრუნებაზე, წინანდლის №9-ში მდებარე
ოკიქტის დაგრუნებაზე საგაღა-
სახალო და მეწარმის თხნის ანაზღაურე-
ბით.

საქდელი ნიშნის ქმედობის შედეგად
მიყენებულ ზარალზე, რაზეც ალკოჰოლის
სისხლის საგართის საყმე და წლების
განმავლობაში განიხილვა უმედგოდ მ-
ანურდება.

წიგნის ავტორი კვაყოფილებას გა-
მოხატავს ყველა იმ პიროვნების მიმართ,
რომლებიც დახმარნენ ნაშრომში შემა-
ვლი საკითხების დამუშავება-თანადგო-
ვაში. იგი იმედოვნებს, რომ შემდგომში,
ძვენის ინტარებაშიდან გამოდინარე, მე-
ტი ყურადღება დაეთმოგა ინტელექტუ-
ალურ შემომქმედებას.

თამარ შანიშელაშვილი
დაგატვითი ინფორმაციისთვის მიგარ-
თეთ ავტორს: 858 66-03-51.

გ ა ნ ე ს ხ ა დ ე ბ ა

სს „სოფლომარაგების“ სამეთვალყუ-
რეო საგმოს გაღაყვითილებით სართო
კრების სააღრიცხვო თარიღად მიჩნეუ-
ლია 17 თებერვალი. ამცირებებს თავი-

ანთი უფლებამოსილების შემოწმება შე-
ქლიათ შპს „კაპიტალ რეგისტრში“.

სამეთვალყურეო საგმო

ღაიჯესტი

რაგადანი მილიარდერია დღეს მსოფლიოში?



ამერიკულმა ჟურნალმა „ფორბსმა“ კიდევ ერთხელ დათვალა დედამიწაზე ყველაზე მდიდარი ადამიანები.

რეიტინგის სათავეში მდებარეობს კარლოს სლიმ ელუ მოქცა, რომელმაც პირველი ადგილიდან „გიკო“-სოფტის“ დამფუძნებელი გილ გავისი განდევნა. 1995 წლიდან მოყოლებული ამერიკელმა გავისმა ამ სიაში პირველობა მხოლოდ მეორედ დატოვა. მათ შორის სხვაობა „რალფ“ 500 მილიონ დოლარზე მეტად აღემატება (ელუს ქონება 53,5 მილიარდი დოლარია, გავისის – 53 მილიონი). სამუშაოს „ჩაგაბითა“ ლეგენდარული ინვესტიორი უორენ ბაფეტი (47 მილიარდი დოლარი).

შედეგით, რომ მილიარდერთა კლუბში დიდი ცვლილებები, რომელშიც „ფორბსის“ მასშტაბებმა 1011 „ნაპირი“ დაითვალეს. წინა წელს მასში მხოლოდ 793 კაცი ირიცხებოდა. თუმცა კრიზისულ 2008 წლამდე მასში სულაც 1125 კაცი იყო.

ყოველწლიურად მის ნიშნულზე, რომ ეკონომიკური კარგადეა დასრულდა, – განაცხადა „ფორბსის“ მთავარმა რედაქტორმა სტივ ფორბსმა. მილიარდერთა „სამშობლოს“ ტიტული კვლავინდობადაა ამერიკის შეერთებულ შტატებს რჩება, სადაც ამჟამად 403 მილიარდერი ცხოვრობს, მათგან ნიუ-იორკის შტატებშია 60 კაცი. მდიდარი ხალხის ოდენობით მსოფლიოში მეორე, ხოლო ევროპაში პირველი ადგილი მოსკოვს უკავია, სადაც 50 მილიარდერია რეგისტრირებული. მესამე სტრიქონზეა ლონდონი – ამ 32 მილიარდერი ცხოვრობს. შემდეგ მოდიან სტამბოლი და ლოს-ანჯელესი. შარშან რუსეთში მილიარდერთა რიცხვი თითქმის გაორმაგდა – 32-დან 62-ს მიაღწია.

– ეს იმითაა განპირობებული, რომ ნავთობის ფასი თითქმის გაორმაგდა, რამაც რუსეთში მილიარდერთა სიაში გააორმაგა, – ასე ახსნა ეს ფენომენი სტივ ფორბსმა.

„ფორბსის“ განაცხადს სიაში ყველაზე მდიდარი რუსეთელია ვლადიმერ ლისინი. მატალურბის ამ გაგნების ქონება 15,8 მილი-

არდ დოლარზეა შეფასებული. მეორე ადგილზეა მიხეილ პროხოროვი, მესამე „ალფა-განისი“ და ნავთობის „ტაპ-გ“-ს მფლობელი მიხეილ ფრიდმანი (12,7 მილიარდი დოლარი).

პოლიგლოტი მფრინავები



როგორც ჩანს, ამერიკელი სამხედრო მფრინავები ამერიკიდან სიტყვარებას ჩაუჯდებიან: ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობა მათი პოლიგლოტობაზე ჩამოყალიბება გადაწყვიტა. სადაც ის არის, რომ მას, ვინც თუნდაც ერთი უცხო ენა იცის, ხელფასს დამატებით 500 დოლარით გაუზრდინა.

მფრინავებს ფულს გადაუხდინა როგორც უკუპლანური, ასევე, იმპროვიზაციით, მაგრამ მათ სჭიროდათ ენის ცოდნა. ის კი, ვინც ორ ენას დაეძგინა, ჰონორის სახით უკვე ათას დოლარს მიიღებს.

– გვერდი რამ დამოკიდებულია ჯარისკაცთა უნარზე ადგილობრივ მოსახლეობას მასსავე ენაზე ელაპარაკოს, – განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ენათა და ქვეყნადმოცოდნის პროგრამის კურატორმა კოლკოვნიკმა ჯოელ კალენსელმა.

აღსანიშნავია, რომ „კრიტიკულად მნიშვნელოვან ენათა“ წესები ამერიკელებმა 14 ენა შეიტანეს, მათ შორის რუსული, ინდური, ფარსი, იაპონური და თურქული. ენების მეორე ჯგუფში, რომლებიც „პოტენციურ მუშაობაში შემთხვევაში შეიძლება გახდეს საჭირო“ შეტანილია ძარბული, სერბული, უზბეკური და ყაზახური. მესამე ჯგუფში, სხვაობის გარდა, მოხვდნენ უკრაინული, ესტონური და ჩეხური.


რა შეუძლია სვრინვას

მოულოდნელი საოჯახო კრიზისი წარმოუშვათ სუბარქონალური ამერიკული ჯგუფის „ჯონას ბრაზარის“ ახლადდამოწმებულ სოლისტ ქავინ ჯონსსა და მის მეუღლეს, ჯგუფ-ლარულ მსახივრს, 23 წლის დანიელს.

მათ რვა თვის წინათ იმორჩინეს. ცოლ-ქმრებს მათი დიდი სიყვარული სულაც არ გაუძლეოდა, ისინი გაშვებულნი იყვნენ, მაგრამ აი, უკვე ორი თვეა... სხვადასხვა საშინელებში სძინათ.

– ქვეყნიერებაში იმპრესიონიზმს და ქმრებს ძილში, მის გვერდით დაქინება შეუძლებელია! – ასე ახსნა დანიელმა თავის გაქცევა ცოლ-ქმრული სარეცლიდან. – რა ალბარ ვცადეთ: საგანგებო ნიშნები, რომელიც უნებურად აიღო, მაგრამ ქვეყნის ის დიდ დისკოგრაფიკს უმნიშვნელოდ, ოტოლარინგოლოგსაც მივაკითხეთ, მაგრამ უშედეგოდ.

– ახლა გვიჩივს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ გამოსავალს მოვნახავთ, ახა, სოფ არ გავიწყდებით ჩემი სვრინვის გამო! – გაუღს არ იტხს ქავინ ჯონსი, თუმცა განაგრძო ცოლ-ქმარი ტიხასში თავიანთ საოჯახო გუდას 2,2 მილიონ დოლარად ყიდის.



ლარის ოფიციალური გასვლითი კურსი	
1 აშშ	– 1.8089 ლარი
1 ევრო	– 2.4398 ლარი
1 ბრ. სტ.	– 2.8924 ლარი
100 რუბლი	– 6.0469 ლარი
1000 სომ. დრაგმი	– 5.9680 ლარი
1 ა. მ. მ.	– 2.2231 ლარი
10 უკრ. გრივნა	– 2.2495 ლარი
1 თურქ. ლირა	– 1.2484 ლარი
10 რინ. იუანი	– 2.6612 ლარი

ამინდი დღეს	
თბილისი.	0 – +4
ქუთაისი.	+3 – +4
ბათუმი.	+2 – +5
ზუგდიდი.	-1 – +4
თელავი.	0 – +6

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

ანაკლოტები

– ვასილ ივანოვი, რა არის „პარადოქსი“?
– ახა, როგორ ამბობენ, პიტა... მოდი, გაიხადე ცალი ჩემი. ახა! ახლა შენ ჩემიანიც ხარ და უჩემოდ. აი, ეს არის პარადოქსი...

– კარგი რა, ნუ დარდობ ასე! იპოვი როგორმე შენს პრინცესას!

– შეიძლება, მაგრამ ვიფიქრებ, ვაითუ იგი მაშინ უკვე დადასტურებული იქნება.



– ალო, სადა ხარ? – ურეკავს ცოლი ქმარს.
– სამსახურში.
– მე დავრეკე შენს სამსახურში, მაგრამ იმ რომ არ იყავი?
– ესე იგი, უკვე წავსულვარ სამსახურიდან.

– საოცრად ცვალებადი ხასიათი მაქვს. ამ წუთს ცხოვრებით რომ ვტკბავი, ორიოდ წუთში ვინმეს მოკლა მიღება სოფი...
– მერა რა მოხდა, ერთი მეორეს არ უზღის – მოკალი და კვლავ დატკბი ცხოვრებით...

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA გ. ახვლედიანის (ყოფილი პაროვსკი) ქ. 19 ინფორმაცია 66434	გამომცემლობა: შპს „თანადგობა“-ს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოცემული (დავით აღმაშენებლის 150. ტ. 899 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რეინიგზის ჩინი, № 20)	მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 99-62-77; 899 56-81-86	პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიშვილი 899 53-76-16; რუსლან რუსია 899 17-21-21; საბრტაძე ქოშულია 899 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი გამუშა პაშაიძე 814 33-33-24	ავტორთა საზოგადოებრივი რედაქციის მიერ შეუკვეთი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
---	--	--	---	--